განკარგულება:**g-37.37211485**
თარიღი:**28/05/2021**

განკარგულება N27

28 მაისი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 108-ე მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2739.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ.26.02.24.145) გადაეცეს, უსასყიდლოდ საკუთრებაში სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, შემდგომში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება შეადგენს 1, 189,401,75 (ერთი მილიონ ასოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ერთი ლარი და 75/100) ლარის.

მუხლი 3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი